N747 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, 2010 წ., №168), შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. დანართი №1-ის (სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულება) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სამედიცინო აპარატურა არ უნდა იყოს გამოშვებული 1998 წელზე ადრე.“.

2. დანართი №2-ის („სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულება) მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სამედიცინო აპარატურა არ უნდა იყოს გამოშვებული 1998 წელზე ადრე.“.

3. დანართი №2[1]-ით განსაზღვრული ცხრილის („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) 31-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„31	სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტებისათვის თვალსაჩინო ა დგილას განთავსებული ან ხელმისაწვდომ ი უნდა იყოს ინფორმაცია ამ დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით დაფარვის შესახებ.“.	

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**